სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2024 წლის 2 დეკემბერი

ქ. სამტრედია

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის №25 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04/06/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.120.016292) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნეს „2^1“ პუნქტი.

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონის შესაბამისად, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, იურიდიულ საკითხებში ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებს.“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **ვაჟა სტურუა**
მოვალეობის შემსრულებელი